



საქართველოს ბანკის საკრედიტო პროდუქტებზე საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობები იმ მომხმარებლებისთვის, ვინც იღებენ კომპენსაციას*

1. საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1.1. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ საშელავათო პერიოდით თუ სარგებლობთ საქართველოს ბანკის ერთი ან რამდენიმე შემდეგი პროდუქტით:

- იპოთეკური სესხი;
- სამომხმარებლო სესხი;
- განვადების სესხი;
- ავტოსესხი (ავტოგანვადება);
- საკრედიტო ბარათი;
- ოვერდრაფტი;
- სალომბარდე სესხი (ოქროს ლომბარდი).

შენიშვნა:

• საშელავათო პერიოდი არ ვრცელდება დეპოზიტით/სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილ სესხებზე.

• იმ შემთხვევაში, თუ ისარგებლებთ საშელავათო პერიოდით, მაშინ საშელავათო პერიოდი გავრცელდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტზე, რომლითაც სარგებლობთ საქართველოს ბანკში.

1.2. იპოთეკურ სესხზე, სამომხმარებლო სესხზე, განვადების სესხზე და ავტოსესხზე საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობები:

1.2.1. საშელავათო პერიოდის ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თქვენ არ დაგეკისრებათ რაიმე სახის გადასახდელის გადახდის ვალდებულება (იგულისხმება სესხის ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოები);

1.2.2. საშელავათო პერიოდის განმავლობაში საპროცენტო სარგებლის და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოების დარიცხვა გრძელდება და მათი გადახდა უნდა მოხდეს ახალი გრაფიკის შესაბამისად.

1.2.3. ახალი გრაფიკის ფორმირება მოხდება შემდეგნაირად:

1.2.3.1. საშელავათო პერიოდის დაწესებასთან ერთად შეიცვლება თქვენი საკრედიტო პროდუქტის მოქმედების ვადა და გაიზრდება არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვით იმგვარად, რომ ახალი გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა მაქსიმალურად დაემთხვეს არსებული გრაფიკით გათვალისწინებულ ყოველთვიურად გადასახდელ თანხას. ახალი გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა შეიძლება უმნიშვნელოდ გაიზარდოს;

1.2.3.2. საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული/დაგროვილი საპროცენტო სარგებელი და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოები გადანაწილდება საშელავათო პერიოდის მომდევნო რამდენიმე თვიან პერიოდზე (იმდენ თვეზე, რამდენიც საკმარისი იქნება აღნიშნული ვალდებულების სრულად დასაფარად) და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გრაფიკის შესაბამისად მოხდება მხოლოდ საპროცენტო სარგებლის და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოების დაფარვა, ხოლო საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის შემცირება არ მოხდება;

1.2.3.3. საშელავათო პერიოდის განმავლობაში ძველი გრაფიკის მიხედვით გადასახდელი სესხის ძირითადი თანხის გადანაწილება მოხდება სესხის დარჩენილ პერიოდზე ანუ 1.2.3.2. პუნქტში მითითებული პერიოდის (რომელშიც ხდება მხოლოდ საპროცენტო სარგებლის და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოების დაფარვა) დასრულებიდან სესხის მთლიან პერიოდზე.

*ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის #286 დადგენილებით განსაზღვრული კომპენსაცია.



მაგალითი: თუ თქვენ ისარგებლეთ 3 (სამი) თვანი საშელავათო პერიოდით ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეებისთვის, ახალ გრაფიკის შესაბამისად თქვენი გადახდები დაიწყება ოქტომბრის თვიდან და პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში გადაიხდით საშელავათო პერიოდის განმავლობაში დაგროვებულ საპროცენტო სარგებელსა და დაზღვევასთან დაკავშირებულ საკომისიოებს. გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულ პერიოდში არ მოხდება კრედიტის ძირითადი თანხის შემცირება, როგორც ეს თქვენი ძველი გრაფიკით იყო გათვალისწინებული!

1.2.3.4. საშელავათო პერიოდის გააქტიურებისა და ახალი გრაფიკის ფორმირების შემდეგ, თქვენ მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას. ახალი გრაფიკი შეგიძლიათ იხილოთ/მიიღოთ საქართველოს ბანკის ინტერნეტბანკში, მობილბანკში ან ფილიალებში.

1.2.4. იმ შემთხვევაში, თუ სესხის მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე წერილობით მიმართავთ ბანკს და მოითხოვთ სესხის მოქმედების ახალი ვადის საშელავათო პერიოდის დაწესებამდე არსებულ ვადამდე შემცირებას და ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ძველი გრაფიკით გათვალისწინებულ გადასახდელებთან გათანაბრებას/მიახლოებას, ამასთან აღნიშნულისთვის უზრუნველყოფთ საშელავათო პერიოდისთვის გათვალისწინებული სესხის ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და დაზღვევასთან დაკავშირებულ საკომისიოების სრულად გადახდას, ბანკი დააკმაყოფილებს თქვენ მოთხოვნას, ხოლო აღნიშნული გადახდებისთვის არ დაგეკისრებათ სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო.

1.3. საკრედიტო ბარათზე საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობები:

1.3.1. საკრედიტო ბარათზე საშელავათო პერიოდის ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თქვენ არ დაგეკისრებათ მინიმალური გადასახდელის გადახდის ვალდებულება;

1.3.2. საკრედიტო ბარათზე დაფარვების განახლების თარიღი გეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

1.4. ოვერდრაფტზე საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობები:

1.4.1. საშელავათო პერიოდი შეეხება იმ ოვერდრაფტებს, რომლებსაც მოქმედების ვადა გასდის ივნისის, ივლისის, აგვისტოს ან სექტემბრის თვეებში. საშელავათო პერიოდი გულისხმობს, რომ ოვერდრაფტის მოქმედების ვადა გაიზრდება 3 (სამი) თვით და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თქვენ არ დაგეკისრებათ ოვერდრაფტის ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება, ამასთან საპროცენტო სარგებლის გადახდა გაგრძელდება არსებული პირობებით.

1.4.2. ოვერდრაფტზე დასრულების ზუსტი ვადა, როდესაც უნდა მოხდეს ოვერდრაფტის თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სრულად დაფარვა გეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

1.5. სალომბარდე სესხზე (ოქროს ლომბარდი) საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობები:

1.5.1. საშელავათო პერიოდის ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თქვენ არ დაგეკისრებათ სალომბარდე სესხზე ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის გადახდა;

1.5.2. საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადანაწილება მოხდება საშელავათო პერიოდის დასრულების შემდგომ 6 (ექვსი) თვიან პერიოდზე.

1.5.3. სალომბარდე სესხზე დაფარვების განახლების თარიღი გეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.